

ირაკლი კენჭოშვილი
(საქართველო)

ფრანგული რომანსის ორგვარი ათვისება

XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ვოკალურ ლირიკას, რომელშიც ფართოდ განვითარდა სასიმღერო ლექსის ახალი სახეობანი – ზეპირსიტყვიერებით მოდელირებული სიმღერა, რომანსი და ე. წ. ქალაქური სიმღერა. ეს პროცესი თავისებურად იჩენს თავს ა. ჭავჭავაძის ლექსში „როს გიყვარდი...“, რომელიც 1907-1811 წლებში უნდა იყოს შექმნილი:

როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
მე სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად,
შენთან, შენით, შენგან გალალეზულსა
მქონდენ დღენი სიტკბოების მადინრად.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

როს გიყვარდი, თუ ვთქვა, არსნი ყოველნი
ისწრაფოდენ ჩემის გულის თნებასა,
ნიავნიცა, დილეულად მქროლელნი,
შენით მომართ მბერდენ ნეტარებასა.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

როს გიყვარდი, ცისაც მანათობელი
სხვა სიამით მცემდა შარავანდედსა,
დროდ მაისი მედგა უცვალელებელი
მარად ვარდთა და ზამბახთა მყნოსველსა.

შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.
როს გიყვარდი, მაშინ შენად სამკობლად
ზეციით მუზნი შთამბერვიდენ მე ყურსა,

ლექსნი თხზულად მოერთმოდენ უშრომლად
გონებასა, შენთვის მოცალეზულსა.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

როს გიყვარდი, ჩემად საამებელად
მზრუნველობდა თვით ძილიცა უგრძნობი,
თვალდახშულსა მყოფდის შენად მხედველად
საშვებელის სიზმრით ხელის შემწყობი.
შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე,
ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე.

ამ ლექსის გენეზისის კვლევას ისეთ ტექსტებამდე მივყვართ, როგორებიცაა: ა. მერზლიაკოვის „შენ მე გიყვარდი...“ („Меня любила ты...“), სათაურით „მას (რონდო)“ (1806), ვ. ჟუკოვსკის „როცა გიყვარდი...“ („Когда я был любим...“) სათაურით „სიმღერა, თარგმანი ფრანგულიდან“ (1807) და ფრანგული რომანსი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ თარგმანებს. მაგრამ ფრანგული წყარო დღემდე უცნობი რჩებოდა და მკვლევრები იძულებულნი იყვნენ იმ დაკვირვებით შემოფარგლულიყვნენ, რომ რამდენადაც ორივე თარგმანი სტილისტურად და ლექსიკურად უაღრესად ახლოსაა ერთმანეთთან, „შეგვიძლია ვილაპარაკოთ ორივე ავტორის მიერ ორიგინალის საკმაოდ ზუსტ გადმოცემაზე“ (Жуковский В. А. Полное собрание сочинений и писем. Т. 1. М.: Яз. рус. культуры. 1999, с. 459). ასევე ღიად რჩებოდა საკითხი, ა. ჭავჭავაძის „როს გიყვარდი...“ ფრანგული დედნიდანაა გადმოღებული, თუ რუსული თარგმანებიდან.

როგორც გავარკვეით, ამ ქართული და რუსული თარგმანების წყარო ფრანგი პოეტისა და დრამატურგის – ვიქტორ-ჟოზეფ ეტიენ დე ჟუსის (1764-1846) შემდეგი უსათაურო რომანსია:

Quand tu m'aimais, inconstante Sophie,
J'étais heureux, je chérissais le jour;
Tu m'as quitté, je déteste la vie,
Ah! mon bonheur n'était que mon amour.

Quand tu m'aimais, le dieu de l'harmonie
Pour te chanter m'inspirait chaque jour;

Tu me quite, j'ai perdu mon génie:
Ah! mon talent n'était que mon amour.

Quand tu m'aimais, aux larmes accessible
Du malheureux je cherchais le séjour
Tu me quite, mon coeur est moins sensible,
Car mes vertus étaient dans mon amour.

ეტიენ დე ჟუსის ლექსის ა. ჭავჭავაძის თარგმანის ავტოგრაფი არ მოგვეპოვება, ხოლო ერთ-ერთ განსაკუთრებით სანდო ნუსხაში წარმოდგენილია ლექსების რიგში „ნათარგმნი“. ფრანგული წყაროს ავტორის სახელის უქონლობა ამ შემთხვევაშიც და რუსულ თარგმანთა პუბლიკაციებშიც იმით აიხსნება, რომ ავტორის ატრიბუცია პირველად ეტიენ დე ჟუსის მხოლოდ სრულ თხზულებათა კრებულში გვხვდება (1823), ხოლო მანამდე, თვით 1821 წელს გამოცემულ სატრფიალო ლექსების კრებულში *Le Pouvoir de l'Amour*, ეს ლექსი ანონიმურად ქვეყნდებოდა. მხოლოდ ერთგან, სიმღერების კრებულში, *Chansonnier du jour*. Paris, 1802-1803, ლექსს მოსდევს ავტორის ინიციალები: V.J. ეს ფრანგული ლექსი ჩვენთვის საგულისხმო ხანაში გვხვდება აგრეთვე შემდეგ კრებულებში: Johann Friedrich Reichardt, *Le Troubadour italien, français et allemand*, Berlin, 1805; *Le chansonnier de Bacchus*, 1806; *Les roses du Vaudeville ou Chansonnier du Jour*. 1805. შესაძლოა, ეს ლექსი სხვა კრებულებშიც იყო გამოქვეყნებული, რომლებიც ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა.

დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთსა და იმავე ხანაში ა. ჭავჭავაძისა და რუსი პოეტების ყურადღება ერთი და იგივე ანონიმური პოეტური ტექსტისადმი ამ უკანასკნელის სიტყვებზე გასპარე სპონტინის ან 1803-1811 წლებში პეტერბურგში მოღვაწე ფარანსუა ადრიან ბუალდიეს რომანსის მოსმენამ განაპირობა. ის დეტალი, რომ ქართულ და რუსულ თარგმანებში რომანსის ზუსტი ადრესატი – *inconstante Sophie* – გამოტოვებულია შესაძლოა იმით აიხსნება, რომ გასპარე სპონტინის ნოტებთან აღნიშნული მიმართვა შეცვლილია ასეთი სახით – *trop inconstante amie*. ცხადია, ამ საკითხზე მსჯელობისას დასაზუსტებელია ეტიენ დე ჟუსის ლექსის სიტყვებზე მუსიკის შექმნის თარიღი.

უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკით მიღებული შთაგონება ვოკალური ლირიკის განვითარების ერთ-ერთი საინტერესო მომენტია. აქ შეიძლება იმის გახსენება, რომ ა. ჭავჭავაძის ლექსების მთელი წყება ამა თუ იმ გავრცელებულ მელოდიაზეა შექმნილი. ეჭვგარეშეა ისიც, რომ მის მიერ ა. გვოზდევის „*Чеп-*

ный цвет“ თარგმანი უპირველესად ამ რომანსის მუსიკალური შესრულებითაა შთაგონებული.

ტექსტუალური შედარება ცხადყოფს, რომ ა. ჭავჭავაძის „როს გიყვარდი...“ ეტიენ დე ჟუსის რომანსის დედანს ეფუძნება. ტაეპი „*მე სიცოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად*“ ახლოსაა არა რუსულ თარგმანებთან, არამედ დედანთან: „*J'étais heureux, je chérissais le jour*“. ასევე, „*ზეციით მუზნი შთამბერვიდენ მე ყურსა, / ლექსნი თხზულად მოერთმოდენ უშრომლად*“, რასაც რუსულ თარგმანებში შესატყვისი არ მოეპოვება, თავისებური ვარიაციაა ამ ტაეპებისა: *le dieu de l'harmonie / Pour te chanter m'inspirait chaque jour*. მხოლოდ ერთი სიტყვა – „*დილეულად*“, რომელიც „*c zapex*“-ს ერთგვარი შესაბამისი უნდა იყოს, გვაფიქრებინებს, ხომ არაა ეს გამომახილი მერზლიაკოვის თარგმანისა. დედანთან ერთად რუსული თარგმანის გათვალისწინება არ იყო უცხო ა. ჭავჭავაძისათვის. ასე, მაგალითად, თავის ავტოგრაფში ა. ჰიუგოს *A un femme*-ს თარგმანთან ერთად გადაწერილი აქვს ამ ლექსის როგორც ფრანგული დედანი, ასევე დელარიუს მიერ შესრულებული რუსული თარგმანი.

დე ჟუსის ლექსის, ერთი მხრივ, ქართული და მეორე მხრივ, რუსული თარგმანები ფრანგული რომანსის ათვისების ურთიერთსაპირისპოო გამოვლინებანია. ვ. ჟუკოვსკისა და ა. მერზლიაკოვის თარგმანებში თავს იჩენს მისწრაფება რომანსის მთავარი კომპოზიციური, ინტონაციური და შინაარსობრივი მახასიათებლების შენარჩუნებისაკენ. ტიპოლოგიურად სრულიად სხაგვარია ა. ჭავჭავაძის მიდგომა საწყისი ტექსტისადმი. ერთი მხრივ, მასში მეორდება რომანსის არსებითი კომპონენტები: მელოდიურობა, მოგონების მოტივი, მინორული ინტონაცია, სინტაქსურად რთული კონსტრუქციების გამომრიცხავი ენობრივი სისადავე და ისეთი მწიგნობრული, ლიტერატურული სახეები, როგორებიცაა „*დროდ მაისი მედგა უცვალებელი*“, „*ზეციით მუზნი შთამბერვიდენ მე ყურსა*“ და სხვ. მეორე მხრივ, ასევე თვალსაჩინოა რომანსისათვის ნიშანდობლივი ლაკონურობისა და ზოგადად – ლირიკული მონოლოგის სისხარტისაგან გადახვევა, რაც განსაკუთრებით ცხადად იმით მჟღავნდება, რომ ფრანგული წყაროსა და მისი ორი რუსული შესატყვისისაგან განსხვავებით, „როს გიყვარდი“ არა სამი, არამედ ხუთი სტროფისგან შედგება, ლექსიკური თანხვედრა თარგმნილ წყაროზე მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო ფრანგული დედნის კომპოზიცია არსებითად შეცვლილია: გაუქმებულია რეფრენი, ხოლო ყოველ მეოთხე ტაეპს ერთმანეთთან გართმული იდენტური სტრიქონი ემატება: „*შენ განგშორდი, ლხინი, შვება, სიამე, / ყველა წარჰხდა, ნანვალა მრჩომია მე*“. გარდა ამისა, ლექსი თერთმეტმარცვლიანი მეტრითაა გაწყობილი, რაც, მართალია, ახლოსაა დედნის მეტრთან, მაგრამ ამასთანავე

ცხადად მიგვანიშნებს იმ დროის ქართულ ლირიკაში დამკვიდრებულ ინტონაციათა და მოტივთა სპეციფიკურ ინტერტექსტზე.

ა. ჭავჭავაძის „როს გიყვარდი“, როგორც *ქლაქური სიმღერის* მკაფიო ნიმუში, ვოკალური ლირიკის ისეთსავე ჰიბრიდულ ნაირსახეობას წარმოადგენს, როგორც რუსულ პოეზიაში ფრანგული რომანსიდან და ფოლკლორული სიმღერიდან მომდინარე ფორმალური და სემანტიკური კომპონენტების შეჯვარების შედეგად წარმოქმნილი ე. წ. *რუსული სიმღერა*.

Irakli Kenchoshvili
(Georgia)

Two Tyres of Perception of French Romance

Summary

Key Words: poetry, French, Georgian and Russian romance, Alexander Chavchavadze, Victor-Joseph Etienne de Jouy, Vasily Zhukovsky.

In Georgian poetry of the 19th century new types of song poems were widely developed, including romances, its variations and songs modeled on folk poetry. This process finds a peculiar manifestation in Alexander Chavchavadze's poem "When you loved me...", composed probably in 1907-1811, after he was summoned from Tambov exile to St. Petersburg for political reasons. The study of the genesis of this poem led us to such texts as Aleksey Merzlyakov's "To Her (Rondo)" ("You loved me...", 1806), Vasily Zhukovsky's "Song. Translated from French" ("When I was loved...", 1807) and the French source of these translations which remained unknown. As we managed to find out, these poems are translations of a romance without a title by a French poet and playwright Victor-Joseph Etienne de Jouy:

Quand tu m'aimais, inconstante Sophie,
J'étais heureux, je chérissais le jour;
Tu m'as quitté, je déteste la vie,
Ah! mon bonheur n'était que mon amour.

Quand tu m'aimais, le dieu de l'harmonie
Pour te chanter m'inspirait chaque jour;
Tu me quite, j'ai perdu mon génie:
Ah! mon talent n'était que mon amour.

Quand tu m'aimais, aux larmes accessible
Du malheureux je cherchais le sejour
Tu me quite, mon coeur est moins sensible,
Car mes vertus etaient dans mon amour.

The absence of the author's name both in Georgian manuscripts and in publications of Russian translations is explained by the fact that the attribution of this poem to the pen of Etienne de Jouy is first confirmed only in the complete collection of his works (1823). Even in the collection “Le Pouvoir de l'Amour” published in 1821, this poem was presented anonymously. Only in one songbook – Chansonnier du jour. Paris, 1802-1803. – the poem is followed by the author's initials: V. J. This French poem is also presented in the following collections: Johann Friedrich Reichardt, Le Troubadour italien, français et allemand, Berlin, 1805; Le chansonnier de Bacchus, 1806; Les roses du Vaudeville ou Chansonnier du Jour. 1805. This French poem may also be found in collections that have remained outside our attention

It can be assumed with high probability that in the same period the attention of A. Chavchavadze and Russian poets to this anonymous French poetic text was caused by the romances of Gaspare Spontini and Francois-Adrien Boaldier on the words of Etienne de Jouy's poem. The detail that the words – *inconstante Sophie* – are omitted in the Georgian and Russian translations can be explained by the fact that in Gaspare Spontini's scores they are replaced in this form – *trope inconstante amie*. Obviously, discussing this issue, it is necessary to find out the date of creation of music based on the words of Etienne de Jouy's poem.

Textual comparison indicates that the Georgian translation of the poem was made from the French original. Just one word makes you wonder if A. Chavchavadze also looked at Merzlyakov's translation. The Russian translations of de Jouy's poem, on the one hand, and the Georgian translation, on the other hand, represent opposite manifestations of the reception of the French romance. The translations by V. Zhukovsky and A. Merzlyakov show a desire to preserve the basic compositional, intonation and content features of the romance. As for A. Chavchavadze's approach to the translated text it is typologically of a completely different kind. Though his

translation repeats the essential components of the romance: melodiousness, the motif of memories, minor intonation, the exclusion of syntactically complex structures and the literary nature of the images, at the same time, there is also a noticeable deviation from the characteristics of the romance, including its brevity. Unlike the French source and its Russian translations, A. Chavchavadze's translation consists not of three, but of five stanzas, and lexical correspondence is reduced to a minimum. The composition of the poem has been significantly changed: the chorus has been canceled, and identical lines that rhyme with each other have been added in every fourth verse. The poem is constructed in eleven-syllable size, which, although close to the size of the original, at the same time clearly refers to the intertext of intonations and motives that had developed by that time in Georgian lyrics.

The Georgian translation of Etienne de Jouy's poem, which is a hybrid genre variety of vocal lyrics, is a certain analogue of the so-called Russian song, which was formed as a result of crossing formal and semantic components borrowed from French romance and folk song.